№ 169
სამშაბათი, 9 აგვისტო 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 0 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 169
სამშაბათი, 9 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## ჯორჯიკიასი

სასწავლებელ-პანსიონში (ქუთაისში) 400 მან., ხარჯის გარდა, მიეცემა წლიურად სემინარია ანუ ინსტიტუტ გათავებულს, რომელიც იკისრებს ამ სასწავლებლის მასწავლებლობას და აღმზრდელობას.

ამ სასწავლებლის პანსიონში თვიურ გადასახადად დაწესებულია 15 მან, როგორც გიმნაზია და პროგიმნაზიის მოსწავლეთათვის, რომელნიც ამ სასწავლებლის პანსიონში ბინას იქონიებენ, აგრეთვე იმათათვისაც, რომელთაც მომზადება სურთ სხვა-და-სხვა სასწავლებელში. მოსიარულეს თვიურად გადახდება 5 მან. დილა-საღამოს სწავლისათვის.

ყმაწვილების მშობლებმა, რომელნიც მუდამ ქუთაისში არ სცხოვრობენ, უნდა წარუდგინონ სასწავლებელს ისეთი კაცი, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს; იგი ვალდებული იქნება ყმაწვილის ავადმყოფობის დროს, ან სხვა შემთხვევაში, როცა მას სასწავლებელი მოიწვევს, მშობლების მაგიერობა გასწიოს.

(—1626—1)

## ახალი ამბავი

*** გუშინ ტფილისში საზღვარგარეთიდგან დეპეშით ამბავი მოვიდა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგე გენერალ ხატისოვის გარდაცვალების შესახებ.

*** გასულ ივლისში ქალაქის კასაში სულ ყველა შემოსავალი ქალაქისა შემოსულა 88432 მან. და 29 კაპ. მხოლოდ 1 ანვრიდგან 1 აგვისტომდე—648382 მან. და 99 კაპ. ამავე დროს ქალაქს დაუხარჯავს ივლისში 85466 მან. და 88 კაპ. მხოლოდ შვიდის თვის განმავლობაში-კი 550725 მან. და 31 კაპ.

*** ს. ბოდბის ხევი (სიღნაღის მაზრა) დადგა მარიამობის მარხვა და ხალხიც შეუდგა ზიარებას. თითქმის ყველგან გაისმის სოფლებში ზარის რეკვა და მლოცველნიც მიეშურებიან ეკკლესიისაკენ, მაგრამ, რომ დააკვირდეთ, ყველაზე ბევრი მლოცველი შედარებით სხვა ახლო მახლო სოფლებთან, ჩვენს ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესიას ჰყავს; იქნება იფიქრონ, რომ წინადაც ბევრი მლოცველი იცოდაო, მაგრამ წინანდელთან შედარებით ეხლა გაცილებით მეტნი არიან. რასაკვირველია, თუ წინად ბევრი მლოცველი იცოდა სხვასთან შედარებით, ამას სხვა მიზეზი ჰქონდა, ეხლა კი უპირველესი მიზეზი გახლავთ გალობა, რომელიც ასე იზიდავს ხალხს; სიმართლე მოითხოვს, ვსთქვათ, რომ დიდის მადლობის ღირსნი არიან სემინარიელნი ბენაშვილი, ნაცვლიშვილი და კიდევ რამდენიმე ახალგაზდანი, რომელიც რიგიანად ჰგალობენ და ატკბობენ მლოცველთა სმენას. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამათ ამხანაგებსაც წაებაძათ ამათთვის და ეგალობნათ ხოლმე ეკკლესიებში. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენებურმა მღვდლებმა ამ გარემოებას მიაქციონ ღირსეული ყურადღება და გაიჩინონ თავთავიანთ სოფელში მგალობლების გუნდი, მით უმეტეს, რომ თვითო გუნდს სამს კაცზედ მეტი არ დასჭირდება ქართულ გალობაში, რის გამოც აიცდენენ იმ არა სასიამოვნო მოვლენას, რომელსაც თვითონ მღვდლები არა ერთხელ უჩივიან ხოლმე, ე. ი. ეკკლესიაში მლოცველების უსიარულობას.

ჩვენკენ პურის მოსავალს არა უჭირს რა, მხოლოდ ღვინის მოსავალი კი ვერ იქნება კარგი, რადგან ვენახები ძალიან შეაწუხა გვალვამ. მაისის ნახევრიდამ დაწყებული მკათათვის გასვლამდის ერთხელ ხეირიანი წვიმა არ მოსულა, რის გამოც ბოსტნეულობა ერთიან გაახმო და დაამვირა.

*** საჩინო. ჰირნახულს თავდაპირველად კარგი პირი უჩანდა, მაგრამ უწვიმობამ ძლიერ დააზარალა; თუმცა ამ რამდენისამე დღის წინად ცოტა წვიმა მოვიდა, მაგრამ ეს კიდევ უარესი, თუ საკმარისი წვიმა არ მოვა გვალვის დროს, მცირედ მოსული უფრო აზიანებს მოსავალს.

*** გურია. ვიღაც თათარი დიდიხანია თურმე დაწანწალებს ჩვენს სოფლებში და ხალხს არწმუნებს, მკითხავი ვარო, და ფულს სცინცლავს, მეტადრე დედაკაცებს. ეს მელა-გაიძვერა ვაჟბატონი უფრო იქითკენ ეტანება, სადაც იმის ხრიკებს ძალა-გავლენა აქვს. მაგალითად: იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქზედ დაშორებულია, სადაც ხასწავლ-განათლებული ექიმის ფეხი, ძნელად მისწვდება.

*** ფოთი: აქ 4 აგვისტოს არესტიდ ავგერინოს ნოქარს კაპიტონ ანთაძეს გაატანეს კანტორიდგან ორი-ათას ხუთასი მანეთი შავი ქვის გამოსაწერად. ჰიათურაში ფოთიდგან წასულა საღამოს მატარებლით პირველის თხუთმეტის მინუტზე და როგორც გასცილებია სადგურს სენაკს, დასძინებია და ეს ფული ამოუცლიათ ჯიბიდგან. საბრალო ანთაძე დაბრუნებულა და ამბავი თავისის უბედურებისა უამბნია ავგერინოსათვის. ანთაძე ამ ჟამად დაპატიმრებულია.

*** ხევი. გაამხანაგებულმა შინაურგარეულმა ჩარჩ-წურბელებმა კვლავ დაიწყეს ჩვენს სოფლებში ძრომა და მეცადინეობა, რომ დიდის ფარის პატრონებსაც როგორმე გამოაცალონ ხელიდგან ჩალის ფასად გაზაფხულ-შემოდგომის მატყლი, რადგან ეხლა ის დროა აქ, რომ შემოდგომის მატყლიც უკვე იკრიჭება; ამისათვის ვისაც გარეშე მატყლის სყიდვა ჰსურს, დიდს სარგებლობას იზამდა, მატყლის საყიდლად ხევს რომ გადმოსულიყო, რადგანაც გაამხანაგებულის ჩარჩების გაჯავრებით ძლიერ ზომიერ ფასად მიჰყიდიან მატყლს. ამ ჟამად მატყლის შესაძენად გადმოსულს კაცს შეუძლიან 3000—4000 ფუთამდე კარგი სუფთა მატყლის წაღება ხევიდგან.

ამ წელს ჰირნახულს კარგი პირი უჩანს, თუ ღმერთი შეგვიბრალებს და ცით არა აუტყდება-რა. თივის მოსავალი კარგია.

*** ბათუმის მშვიდობიანი ცხოვრება შეირყა ამ რამდენიმე დღეში მომხდარ დრამებითაო, სწერენ „კავკაზს“: ორი დრამა ერთმანეთზედ შეგვემთხვა. ამ ორის დღის წინად ვიღაც შ—ნიანმა თავი მოიკლა სასტუმროში. როგორც ამბობენ, მიზეზი თავის მოკვლისა სიჰლექით ავადმყოფობა ყოფილა. 2 აგვისტოს დილის 12 საათზედ კიდევ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გვარად შუბინმა, მოიკლა თავი; ჯერ ვიღაც ქ-ნს ლ. ესროლა რევოლვერი, და იმის სატრფოს, ადგილობრივ ვაჭარს პ—ჟანს და მერე თითონ ისროლა. შუბინი საავადმყოფოში წაიყვანეს და იმის მორჩენის იმედი აღარა აქვთ. ქ-ნი ლ. მორჩენა კიდევ შესაძლებელია. რაც შეეხება პ—ჟანს, ძალიან სუბუქად არის ფეხში დაჭრილი. ამ დრამატიულ ამბის მიზეზი სიყვარულიაო.

*** რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებამ გაჰგზავნა პეტერბურგის კონსერვატორიის მოწაფე ი. ვ. ნეკრასოვი რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებსა და კავკასიაში. ნეკრასოვი კავკასიაში გაგზავნილია იმისთვის, რომ გადიღოს რამდენიმე ჰანგი ოსებისა და ლეკების სიმღერებისა („ტფ. ფურც.“).

*** აგვისტოს 6-ს, დილით, ანჩხატის ქუჩაზედ, დანილბეგოვის სახლში, ტერ-ოჭანოვის სადგურიდგან 30 მან. ღირებული სამოვარი მოიპარეს. აგრეთვე იმის მოსამსახურეს იოსებ ციცამოს მოჰპარეს სხვა-და-სხვა ნივთები, 64 მან. ღირებული. ერთი ამ ქურდობაში მონაწილეთაგანი, ივანე იმესაშვილი, შეიპყრეს.

*** 4 ამ თვისას ზუბალოვის ქარვასლაში მცხოვრებს მაიუმ რამაზან-ოღლის ფატელა-ოღლიამ და გამშარ-ოღლიმ 10 მან, ღირებული შალის საქონელი მოჰპარეს. დამნაშავენი პოლიციელმა იქვე შეიპყრო.

*** 8 ამ თვისას კართან ზაბაკემა პოლიციაში გამოაცხადა, რომ წყლის პირის ქუჩაზედ ასფალტის ქარხნიდგან 13 მან. ღირებული იარაღი მომპარესო. ეჭვი გამოაცხადა აკოფ არუთინოვზე, რომელიც შეპყრობილია.

*** 5 ამ თვისას, ოლგას ქუჩაზედ, შვიდის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 6 აგვისტოს სუმბათოვის ვიწრო ქუჩაზედ ცუდის ყოფა-ქცევის ქალმა მარიამ მოლუშკამ სიმთვრალის დროს კარბოლის სიმჟავე დალია, სამკურნალოში წაიყვანეს და იქვე გარდაიცვალა.

*** ამავე დღეს პოლიციის პირველს

## ფელეტონი

### მეთვალყურის შენიშვნები

(წერილი მესამე)

დ. ორპირი.—მისი წარსული დრო.—გეგიძე და საჰურისები.—ეხლანდელი მდგომარეობა ორპირისა და გრაფ ლ. ტოლსტოის მიმდევრები.

ამ ოც-და-ათის წლის წინად ორპირი იყო ერთი საუკეთესო სავაჭრო ადგილთაგანი მთელს ქუთაისის გუბერნიაში; ფოთიდგან ორპირამდის ჯერ ნავებით და ყირიმის ომის შემდეგ ცეცხლის გემებითაც მოჰქონდათ სავაჭრო საქონელი, რომელიც ურმებით, აქლემებით გაჰქონდათ ქუთაისს, ტფილისში და სხვაგან. ორპირის ახლო მცხოვრებიც წინად, გარდა მიწის მუშაობისა და ღვინის დაყენებისა, რომელიც ბლომად და კარგიც მოდიოდა აქეთ, მისდევდნენ აგრეთვე მენავეობასაც, გაჰქონდათ აქედგან ფოთში ხე-ტყე—უფრო კაკლის ხეები და ასაღებდნენ საზღვარგარედ. ორპირის ვაჭრობის მხრით კეთილმდგომარეობას ხელს უწყობდა ორი მდინარე—რიონი და ცხენისწყალი, რომლებიც ერთმანეთთან შეერთების შემდეგ ადვილი სასიარულო შეიქმნა ნავთა და გემთათვის.

ორპირი უფრო გამშვენიერდა მას შემდეგ, როცა აქ ორმოცს წლებში მთავრობის განკარგულებით გადმოსახლებული იქმნა 380 სული საჰურისი; ამათ ააშენეს რიონის ნაპირას რიგზედ მშვენიერი სახლები, დარგეს სხვა-და-სხვა სადეკარაციო მცენარე, მოაშენეს ბაღი, ბოსტანი და ამ ნაირად გავერანებული ადგილი მშვენიერს კუთხეს დაამსგავსეს. საჰურისები საზოგადოდ თუმცა ფიზიკურად სუსტნი იყვნენ, მაგრამ ერთგული მუშები აღმოჩნდნენ, ბევრ ნაირ ხელობასთან იცოდნენ ნავოსნობაც, ზოგი მათგანი გემებზედ ზღვაოსნებად ნამსახურები იყვნენ. ორპირში დასახლების შემდეგ საჰურისები შეადგენდნენ ინვალიდთა მე-96 №-რის როტას, უფროსად ჰყავდათ კაპიტანი იაგორ დავითის ძე გეგიძე, რომელიც ორპირშივე სცხოვრებდა და რომელიც თავის სტუმარ-მოყვარეობითა და კეთილის გულით სახელ-განთქმული იყო. ევროპიელი მოგზაურები, რომელთაც მოუხდებოდათ ხოლმე კავკასიისა და სპარსეთისკენ მოგზაურობა, ევროპიდგან წამოღებულის ადრესით, უსათუოდ გეგიძის სახლში უნდა ჩამომხტარიყვნენ და იმასაც, რასაკვირველია, ქართულის პურადობით, სტუმართ-მოყვარეობით და კარბაისლობით აღტაცებაში მოჰყავდა ყველა უცხო მოგზაური. ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ქართველ მკითხველებს გადავსცეთ მცირე ცნობები გეგიძის შესახებ. ამისათვის ვხელმძღვანელობთ ბოროზდინის ისტორიით: გეგიძე ყოფილა გურიიდგან თავადის მაჭუტაძის აზნაური; სამის წლისა ყოფილა, როცა დაობლებულა—დედ-მამა დაჰხოცვია და პატარა გეგიძე თავადს მაჭუტაძეს წაუყვანია თავისს სასახლეში. ამ დროს იმერეთის მეფე სოლომონი მისულა სოფ. საჯავახოში—გურიისა და იმერეთის საზღვარზედ; თავადი მაჭუტაძე, რასაკვირველია, მიჰგებებია მეფეს, მიურთმევია ძღვნად ცოცხალი ხუთხი, და რადგანაც მეფე უშვილო იყო და ამას ძლიერ ჰნანობდა, თ. მაჭუტაძეს პატარა გეგიძე უფეშქაშებია მეფისათვის. მეფე და დედოფალი აღტაცებულნი და ფრიად ნასიამოვნებნი დარჩნენ ამ გვარ საჩუქრით: წამოიყვანეს პატარა ბავშვი და ისე ზრდიდნენ თავიანთ სასახლეში, როგორც საკუთარს შვილს. 1820 წელში მეფე სოლომონი სათათრეთში გადასახლდა; იმერეთში რუსის მმართველობა შემოიღეს, გეგიძე მაშინ 18 წლისა იყო, იმან არჩია „სამეგრელოს“ პოლკში შესვლა იუნკრად. ასეც მოიქცა და ცოტა ხნის შემდეგ რუსის კარგი აფიცერი შეიქმნა. ორმოც წლებში, როცა ორპირში საჰურისები ჩამოასახლეს, გეგიძე კაპიტანი იყო და ხანდახან კიდეც ასწავლიდა საჰურისებისაგან შემდგარს ინვალიდის როტას.

ორმოცის წლების დასაწყისში გურიაში აჯანყება მოახდინეს, მისდა დასამშვიდებლად მოწვეულ იქმნა შესანიშნავის კავკასიის გმირის თავადის მოსე ზაქარიას ძის არღუთაშვილის-მხარგრძელის უწყებაში მყოფი ჯარი; ხალხი დამშვიდებულ იქმნა და აჯანყების მოთავედ, მთავარ დამნაშავედ იცნეს თავადი შალიკაშვილი, რომელსაც საუკუნოდ კატორგა გადაუწყვიტეს და რომელიც რამდენისამე თვის წინად ჯვარ-დაწერილი იყო დიდად სახელ-განთქმულ და ფრიად მშვენიერ და ლამაზ ქალ,

ნაწილში, ალლოვის სახლში, კორნუხს სასტუმროში მოსამსახურემ კონსტანტინე მაისურაძემ გაუფრთხილებლობით ყელი და გული დაიწვა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს და მორჩენის იმედი აქვსთ.

⁂ 7 ამ თვისას სუმბათოვის ქუჩაზე, კარამან-ჰუსეინ-ოღლი წაეჩხუბა ტუდის ყოფა-ქცევის ქალებს სალიანის მცხოვრებელს სონა ჰაჯი-ჰუსეინ-ყიზის და სონა ნაჯაფ-ყიზის და ორივენი მაკრატლით დასჩრა. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ 7 ამ თვისას ღამის პირველ საათზედ ალექსანდრეს ბაღში ბაყალს იოსებ ყაბაზოვს თავს დაეცა სამი ავაზაკი, თავში დასცეს რაღაც იარაღი და მიწაზედ წააქციეს, შემდეგ წელიდგან ახსნეს 80 მან. ღირებული ქამარი და ხუთ მანეთიანი აბრეშუმის ხელსახოცი და სამივე სხვა-და-სხვა მხრისაკენ გაიქცნენ. მაგრამ ყაბაზოვის ყვირილზე ზოლიციელმა კრავჩენკომ და ლუცენკომ მიასწრეს და ერთი დამნაშავეთაგანი, პავლე სოლომნის ძე კეკელაშვილი შეიპყრეს.

## დამაკვირდი

—

ჭეშმარიტებას შეიძლება ხანდახან ნისლი გადაეფაროს, მაგრამ არ ჩაჰქრება.

ლივიუსი

**

საიმედო ყოველთვის მხოლოდ ზომიერი ბედნიერებაა.

გერმ. ანდაზა

**

ზოგიერთი ქალია, ჯერ უეჭველად უნდა შეიყვაროთ და მხოლოდ მაშინ შეიძლებთ იმის გაცნობას, ჩვენ-კი პირ-იქით, ჯერ გავიცნობთ ხოლმე იმის სულსა და გულს, და მერე შევიყვარებთ.

ჟან პოლი

## კორესპონდენცია

—

**ხევი.** 3 აგვისტო. სანამ კავკავიდგან პეტროვსკამდე რკინის გზა გაკეთდებოდა, მინამ ჩვენი ხალხი კარგად სარგებლობდა კავკავსა და ტფილისშუა „გზა-ტკეცილზედ“ ურმებით ქირის გადატან-გადმოტანით,- არც ხვნა-თესვას, არც თიბვა-მკას და არც კიდევ სხვა რომელსამე შინაურგარეულ საქმეებს ისე გულ-მხურვალედ ხელს არა ჰკიდებდა, როგორც, მაგალითად, ჰბეჯითობდა ურმებით ქირის ზიდვას *). თვე ისე როგორ გავიდოდა, რომ ერთხელ მაინც არ ჩაეტანა კავკავიდგან ტფილისში ქირა და ამ გვარად შეძენილის ფულით არ ეყიდნა ჯალაბობისთვის სუყველაფერი, რასაც-კი საჭიროება თხოულობდა მისთვის სახლში; როგორც, მაგალითად: ფარჩა, საპონი, ნავთი და სხვანი.

აგერ თითქმის ერთმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, რაც ხსენებული რკინის გზა გაკეთდა და ჩვენს მეურმე ხალხსაც მოაკლდა ჩვეულებრივის ქირის ზიდვით სარგებლობა და ფულის შოვნა გაუჭირდა; მუდამ ურმებით მუშაობას ჩვეული ჩვენი ხალხი ეხლაც თავს მოსვენებას არ აძლევს და ძალიან მეცადინეობს, რომ საითაც იქნება ერთი-ორი გროში იშოვოს. ამისათვის ხან მთას იქითელს ვაჭარ-მოვაჭრეს ურიგდება, ხან მთას აქეთელს, რომ დუქნის საქონელი მოუტანოს; ხან ფშაველ-მთიულ-გუდამაყრელს კავკავიდგან სიმინდის გადატანას, ზოგიც თავის საკუთარის ფულით ყიდულობს კავკავში სიმინდს, მიაქვს საქართველოსკენ და ჰყიდის... ამ გვარად «ლონდიალობს“ ჯერ-ჯერობით ჩვენი ხალხი, სანამ საქართველო კარგს პურის მოსავალს ეღირსება, და იოლად გამოჰყავს ჯალაბობა.

თუ კავკავიდგან პეტროვსკამდე რკინის გზის გაყვანამ ასეთი ცუდი გავლენა იქონია ჩვენს ხალხზედ და ცოტა არ აყოს უფულობა ჩამოვარდა ჩვენს ხალხში, მაშინ რაღა გვეშველება და ან როგორღა ვიცხოვრებთ, როდესაც, როგორც ამ დღეებში „ივერიამ“ გვაუწყა, არხოტის უღელტეხილზედ რკინის გზას გაიყვანენ?.. რაღა თქმა უნდა, რომ ეს დიდის უბედურების დატეხვა იქნება ჩვენს თავზედ... მაშინ სამუდამოდ გამოვესალმებით საზოგადოდ მარტო ჩვენი მთის ხალხი, იმ „გზა-ტკეცილს» რომელიც ყოველს დღეს მშობელ დედის ძუძუსავით ლუკმა პურს გვაწვდის...

სამუდამოდ გამოვესალმებით „გზა-ტკეცილსაო», იმიტომ ვამბობ, რომ თუ არა ვცდები, ეს გზა მაშინ ჩვენ საზოგადოებას გადმოგვეცემა მოსავლელად და, განა შეუძლიან ჩვენს ხალხს, იმ გზის მოვლა და რიგიანად შენახვა, რომელზედაც, ეხლა საინჟინერო უწყება ყოველს წელს რამდენსამე ათას თუმნობით ჰხარჯავს?!.

ცხადი საქმეა, მაშინ ჩვენის საზოგადოების ანაბრად დარჩენილი გზა არც ერთს წელიწადს იმუშავებს.

სტეფანწმინდის საზოგადოების სოფ. ახხოტში ამ დღეებში კიდევ ორი დედა-კაცი გახდა ავად გადამდების სნეულებით, სახელდობრ: ყაზმახამად ბედოშვილის მეუღლე გოსა და ბათაშვილის ქვრივი ზაზა, რომელნიც უვლიდნენ და ჰპატრონებდნენ ამ სოფლის ავადმყოფებს

გ. ბ—შვილი

*) ეს ისეთ საყვარელ ხელობად მიაჩნია ჩვენს ხალს, რომ ვისაც თითონ არა აქვს ფული, სხვისგან ილებს ფულს ვალად, ცხენისა და ურმის სასყიდლად.

—

**ს. ნიგოითი.** აწერილობით აქ 260 მოსახლე გლეხი სცხოვრებს. დღემდის მთელს სოფელს მხოლოდ ერთი სამინისტრო სკოლა გვქონდა და ისიც ოთხის ვერსტის მანძილზედ, მდინარე ფიჩორის გაღმით. ამ ორის გარემოების გამო, ესე იგი პირველი ისა, რომ სკოლა სოფელზედ დაშორებული იყო და მეორე იმისა, რომ იგი წყალ გაღმა ავაგეთ,—უმეტესს ნაწილს სკოლაში მოსწავლეთა მეტად ეძნელებოდათ გაკვეთილებზედ სიარული, მეტადრე ზამთარში, როდესაც ჩვენის ნიგოითას გზებზედ ბედაურიც ვერ გაძლევინს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს გარემოება აღარ გვექნება სავალალოდ, რადგანაც დღეს ჩვენმა სოფელმა ერთის მაგიერ ორი სასწავლებელი გაიჩინა. ხის შენობა ააგო მდ. ფიჩორისაგან $2^1/_2$ ვერსის მანძილზედ დასავლეთიდამ; ეს ქვის შენობა, რომელიც ამ სოფლის მცხოვრებთა უმეტესს ნაწილს ეკუთვნის, მნახველის თვალს იტაცებს თვისის სიმშვენიერით. სოფლად ასეთი შენობა იშვიათია. მეორე შენობა თუმცა ხისა არის, მაგრამ ჩინებულია და მოხდენილი; ამ სადგომის აგების დროს თ. ალ. მაჭუტაძე 300 მანეთით დაეხმარა სოფელს. ნიგოითმა ასე წაიმძღვარა სკოლების საქმე იმ დროს, როცა ამის მეზობელს ჰაპანას ერთი სკოლაც-კი არ გაიჩნია...

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჟურნალ- გაზეთებს ამ უკანასკნელის დროის განმავალობაში, შეჰნიშნავს, რომ ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა პატარ-პატარა სოფლები ერთი-მეორეს უერთდებიან და შეერთებულის ძალ-ღონით ხელს უწყობენ საზოგადოდ სწავლა-განათლების საქმეს. არ იქნება ურიგო, რომ ამ მაგალითს წაჰბაძონ ს. ნიგოითმა და ჰაპანამ. ამ ორის სოფლის შეერთება ყოველის საზოგადო საქმის საერთოდ გარდაწყვეტისათვის და სკოლების რიგიანს გზაზედ დაყენებისათვის დიდი სასარგებლო იქნება, მეტადრე ჰაპანასათვის, რომელიც ამაღლების საზოგადოებაზე არის მიწერილი. ამ საზოგადოებასთან-კი სოფელი ჰაპანა 10 ვერსტის მაძილზედ არის დაშორებული, მაშასადამე ამ სოფლის მკვიდრთ მამასახლისი სოფლის მსაჯულები და სხვ. არ ემხრობათ, დაშორებული ჰყავთ, რაც ელობება მათს საზოგადო საქმის წინ მსვლელობას. ჰაპანელი გლეხი, რომ სამართლის მოსაპოებლად სასოფლო მსაჯულებთა და მამასახლისის წინაშე წარსდგეს, უნდა მთელი დღე, და ხშირად—ორი დღეც, დაჰკარგოს და ამითი თვისი დაცემული ნივთიერი მდგომარეობა, სამართლის მოპოების მაგიერ, უნდა უფრო მეტად დასცეს და დაჰლუპოს! ამ და სხვა მიზეზების გამო, არ იქნება ურიგო, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია გამოიჩენდეს ჩვეულებრივს სიმხნევეს და ამ ორს პატარა სოფელს— ნიგოითს და ჰაპანას — ფორმალურად ერთი - ერთმანეთთან დააკავშირებდეს და ამითი აშკარად ხელს შეუწყობდეს ამ ორი მეზობლის სოფლის ძალ-ღონეს და კეთილ დღეობას...

არსენ ნიგოითელი

—

**ს. მეჯვრის-ხევი,** 2 აგვისტო. მეჯვრი-ხევის ახალგაზდობამ 31 ივლისს მეორედ გაჰმართა ქართული წარმოდგენა. დიდი მეცადინეობა და უნარი გამოიჩინა მეჯვრის-ხევის ახალგაზდობამ ამ საქმეში. ისეთის სიმხნითა და მეცადინეობით მოეკიდნენ ამ ორს წარმოდგენას; ისე ნაირად სცილობდნენ, წარმოდგენას კარგად ჩაევლო, რომ საზოგადოებაში დიდი თანაგრძნობა გამოიწვიეს და შემოსავალიც ალემატებოდა როგორც კვლავინდელს, აგრეთვე სხვა ბევრ ქალაქების წარმოდგენების შემოსავალს. როგორც პირველი, ისე მეორე წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით იყო გამართული. უკანასკნელად წარმოადგინეს: პირველი მოქმედება „ხანუმა“, «ადვოკატები» და ვოდევილი „არც აქეთ, და არც იქით“. წარმოდგენის წინად ყმაწვილებმა სცენაზედ მშვენივრად იმღერეს სხვადა-სხვა ქართული სიმღერა, წარმოსთქვეს ანტრაქტების დროს „სცენები“ და ლექსები. წარმოდგენამ საზოგადოთ მშვენივრად ჩაიარა და საზოგადოებაც დიდი კმაყოფილი დარჩა. რადგანაც „ხანუმას“ და ქაბატუს როლები ძნელი ასასრულებლებია და ნიჭია საჭირო, ამისთვის ქალებს სისუსტე ეტყობოდათ და მაჰანკლური მოხერხებულობა აკლდათ. განსაკუთრებით კარგად ჩაიარა «ადვოკატებმა»: საზოგადოდ კარგად ითამაშეს ქ-მა ხ—მა მაჰანკლის როლი; გ. გ—მა გლეხის როლი და „სცენები“; მ. ლ—ძემ, კ. და ა. თ—შვილებმა. ხარჯს გარეთ წარმოდგენიდგან დარჩა 48 მან. და 75 კაპ. ასეთი არა-ჩვეულებრივი შემოსავალი ამ ორი წარმოდგენისა მიეწერება, სცენის-მოყვარე ახალგაზდობის მეცადინეობასა და მხნეობას, რომელმაც გულ-გრილობა არ გამოიჩინა ამ საზოგადო საქმეში და რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია. იმედს ვიქონიებთ შემდეგისათვისაც ეცდებიან და თანაგრძნობას და სიყვარულს გაუღვიძებენ მეჯვრის-ხევის საზოგადოებას საზოგადო საქმის მიმართ.

კარგი იქნებოდა, თუ მეჯვრისხევის საზოგადოება ამისთანავე თანაგრძნობას, როგორიც წარმოდგენას გაუწია, ყველა საზოგადო საქმეს გაუწევდეს.

სულ რამდენიმე თვეა, რაც მეჯვრის-ხევს აფთიაქი ეღირსა! მაგრამ რა გამოვიდა? ამ ცოტა დროში ისეთი მცირე შემწეობა და თანაგრძნობა გამოუჩინა საზოგადოებამ ამ ფრიად სასარგებლო და საინტერესო დაწესებულებას, რომ მეაფთიაქე ს. წერეთელი თითქმის დღიურად ვერ გამოდიოდა იმის შემოსავლით და იძულებული შეიქმნა გასცლოდა მეჯვრის-ხევს. ასე რომ დღეს უაფთიაქოდ გახლავართ. ჩვენ უექიმობას ვჩიოდით, ვიმედოვნებდით, იქნება ექიმი გვეღირსოსო, და იმის მაგიერ, აფთიაქიც-კი ხელიდგან წაგვივიდა. ნუ თუ ამოდენა საზოგადოებას, როგორიც მეჯვრის-ხევია, არ შეეძლო შემწეობა მიეცათ აფთიაქისათვის და ფეხზედ წამოეყენებინათ. კარს სიკეთე მოგვადგა და ჩვენ-კი ვერ ვისარგებლეთ. მით უფრო სამწუხაროა აფთიაქის დაკეტვა, რომ თვით მეაფთიაქე ს. წ. ბევრს გაჭირვებულს უმართავდა ხელს წამლებით და ბევრჯელ კიდეც ინახულებდა ავადმყოფს და დარიგებას მისცემდა. ეხლა-კი ექიმიც რომ ვიშოვოთ, მერე

---

თავად შაქარ მიქელაძის ასულზედ ანნაზედ, რომელიც, რადგანაც შალიკაშვილს ციმბირში არ გაჰყვა, ამის გამო მათი ცოლქმრობაც გაუქმებული შეიქმნა. ორის წლის შემდეგ კნიაჟნა ანნა შაქარის ასული მიქელაძისა მისთხოვდა გეგიძეს და რამდენიმე შვილიც შეეძინათ. აღმოსავლეთ ციმბირში, სადაც შალიკაშვილი იყო გაგზავნილი, გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს ნ. მურავიოვი; მურავიოვი ერთხელ კატორგაში გაგზავნილთა სიას კითხულობდა, სადაც აღმოიკითხა ნაცნობი გვარი შალიკაშვილისა; გუბერნატორმა გამოიკითხა მისი ვინაობა და აღმოჩნდა, რომ ერთ ჩერქეზთა ომში შალიკაშვილს როცა იგი ჯერ ისევე ახალგაზდა და აფიცერი იყო, შალიკაშვილს მურავიოვი შავის ზღვის ნაპირას სიმომაკვდავი და დაჭრილი გამოეტანა ჯარისაგან სრულიად თავ-დამებებული. რასაკვირველია, ამის შემდეგ მურავიოვს, როგორც ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორს, დიდი შეძლება ექმნებოდა მფარველობა გაეწია შალიკაშვილისათვის; მართლაც, იმანა სთხოვა ხელმწიფეს ეპატიებინათ შალიკაშვილისათვის დანაშაული და იმისის თხოვნით იგი მთლად განათავისუფლეს და მისცეს სამშობლოში დაბრუნების ნება. დაბრუნდა შალიკაშვილი თავის სამშობლოში—გურიაში.

როცა საჭურისები ორპირში დაასახლეს—ბევრს ეგონა, რომ ისინი თავიანთ მწვალებლობას აქაურ ხალხშიაც გაავრცელებენო, მაგრამ ტყუილი გამოდგა, არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა-ღა, როგორც ამბობენ, უცდიათ კიდეც. ჩვენი ხალხი სხვა სჯულისას და უფრო მწვალებლებს გზა დაბნეულებს ეძახის და რაც იმათს სარწმუნოებრივ შეხედულობას შეეხება—არავითარს კავშირს არ იჭერს იმათთან. პირიქით, ჩვენ იმისთანა მაგალითს ვხედავთ, რომ ზოგი საჭურისი განუდგა თავიანთს ძმებს, მიხვდნენ თავისს გზა დაბნეულობას და ისევ ჩვენებურს ჩვეულებას—სმა-ჭამას მისდევენ. 380 სულიდგან, რომელნიც გადმოსახლებულნი იყვნენ აქ, უფრო ბევრი მთლად ამოწყდა, ცოტა ქუთაისში გადაესახლა და ორპირში დარჩა მხოლოდ ოთხი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სხვა ვაჭრებთან. ერთი მათგანი (პრუტკოვსკი) კარგად განვითარებული კაცია; იგი ჰმეცადინეობს ბეჭდვით გამოარკვიოს ბევრი მავნებელი მხარე საჭურისების მწვალებლობისა, რომელიც უცხოსათვის ყოველთვის დაფარულია.

ფოთისა და ბათუმისაკენ რკინის გზის გაყვანის შემდეგ ორპირი თანდათან ეცემა, ვაჭრობა მცირდება, ვაჭრებიც ზოგი სამტრედიაში და ზოგიც აბაშის რკინის გზის სადგურისაკენ წავიდნენ და დღეს ორპირში ერთს ვაჭარს და დუქანსაც ვერ იპოვით. წინანდელი საჭურისების მიერ რიონის პირზე გაშენებული ხეივანი ქარიშხალმა და რიონის ნაპირიდგან მოდენილმა ქვიშამ ჩაფლა და დამარხა; რიონიც ისე მოსდგა ორპირს, რომ ლამის მთლად გადალექოს, მაგრამ ორპირის ეხლანდელნი მკვიდრნი არაფერს ღონისძიებას არა ჰხმარობენ, რომ მდინარეს როგორმე მიმდინარეობა შეუცვალონ.

ორპირისა და იმის ახლო-მახლო სოფლების ავლადიდებას ჰირნახული შეადგენს, სთესენ მომეტებულად სიმინდს და რადგანაც ამ ჟამად სიმინდის ფასი ძალიან დაწეულია, ამის გამო მცხოვრებლებიც დიდს გაჭირვებაში არიან — უფულობისა გამო ვაჭრობაც შეჩერებულია. აქაური მიწა და საზოგადოდ მთელის რიონისა და ცხენის-წყლის ხეობა მეტად ნაყოფიერი ადგილებია. აქ მაგონდება ერთის ფრანგის სიტყვები აქაურის მიწების შესახებ. ორი სწავლული მებაღე ფრანგი მიპატიჟებული იყო სპარსეთის შაჰთან თეირანში, გზად აქ უნდა გამოევლოთ, ფრიად განცვიფრებულნი იყვნენ აქაურის მცენარეებით და ნიადაგის სინოყიერით. ისინი ამბობდნენ, რომ ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ ამისთანა უხვისა და ძლიერ მწარმოებელ ნიადაგისაო; ერთი მათგანი დასწვდა მიწას, აიღო ხელში ერთი მუჭა მიწა და სთქვა: „Savez vous que cette poignée coûte 20 francs á Paris, c'est du chocolat, ah! quelles camelias on peut produire avec cela. Et dire gue ce trèsor se tvouve entre les mains incapables d'en tirer quelque chose!“ *) იმათ იპოვნეს

*) „იცით რა? ერთი მუჭა ეს მიწა პარიჟში 20 ფრანკი ღირს. ეს ნამდვილი შოკოლადია. ახ! როგორ კამელიების (კანფეტების) მოყვანა შეიძლება ამისთანა მიწაზე; საუბედუროდ, ეს საუნჯე ხელში აქვთ იმი-

აფთიაქს უნდა დავუწყოთ ძებნა. ან ვინლა წამოვა მეჯვრის-ხევში, ვინლა მოგვეკარება, როცა გაიგონებენ ბედ ილბალს აქ მყოფ მეაფთიაქისას?... ეხლა წამლებისათვის მეჯვრისხეველებმა ისევ 20 ვერსის მანძილზედ უნდა ვირბინოთ. ჩვენის აზრით, ყველა ეს იმისი ბრალია, რომ, როგორც ბევრჯელ თქმულა, მეჯვრის - ხევს გულ შემატკივარი ქველ-მოქმედი მოთავე არა ჰყავს!!.

ს. მეჯუღელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ეხლა ყველა გაზეთი ოფიცერთა დუელის შესახებ გამოცემულ კანონის გამო ჰლაპარაკობს და სჯის. „Судебная Газета“-ს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ერთი წერილი ამ დუელისავე გამო. გაზეთი ამბობს:

> ახლად გამოქვეყნებულმა „წესებმა იმის სახემ, შეთუ როგორ უნდა იქმნას გარჩეული აფიცერთა შორის მომხდარი უსიამოვნება“ სრულიად არივ-დარია აზრი დუელისა და იმის, ვითარცა დანაშაულის, დასჯის შესახებ. თუ დუელი დანაშაულია, იგი დანაშაული უნდა იყოს ყველასათვის, წოდებისა და ხარისხის განურჩევლად, და უნდა დაისაჯნენ კიდეც მისნი მომქმედნი. თუ აბრკოლებს რამე იმის დანაშაულად ცნობას და აღარ ისჯება აფიცერთა შორის მომხდარი ზოგიერთი დუელი, მაშინ სისხლის სამართალში მცნება დუელის შესახებ ირევა და ამ არევ-დარევას-კი ვერავითარი კერძო წოდების ინტერესი ვერ გაამართლებს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ის, რაც ერთისათვის ნება დართულია, მეორესათვის დანაშაულად შეიქმნეს. ამ ჟამად აფიცერთა საზოგადოების სამართალმა უნდა გადასწყვიტოს, უნდა იბრძოლონ თუ არა აფიცრებმა ერთმანეთ შორის და გარეშესთანაც, რათა ამით ჩამოირეცხონ შეურაცხება. თუმცა, დუელის შემდეგ დაიწყება ხოლმე გამოძიება, მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში ეს გამოძიება, სასჯულო საქმეთა მინისტრთა ან მორიგებულ სამხედრო მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენებისა თანახმად, (თუ დუელში გარეშე ადამიანს, არა—აფიცერსაც მიუღია მონაწილეობა), შეიძლება მოისპოს. ამ გვარად დუელი ორ გვარი, ხასიათისა იქნება ამიერიდგან და თითოეული მისი ხასიათი დამოკიდებულია ამათუ იმ შემთხვევის წვლილისა და ვითარებისაგან. ერთი დუელი დანაშაულად ჩაითვლება და იმის მომქმედთაც დასჯიან, მეორენი-კი დაუსჯელად დარჩებიან, რადგან იმათ თვით მიზეზი დუელის დაწყებისა გაამართლებს.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რითი არ არის მოსაწონი ახალი წესები დუელის შესახებ სარწმუნოებისა და სჯულის მხრივ და დასძენს, რომ

> ამ ახლად გამოცემული წესები აფიცერთა შორის მომხდარ უსიამოვნების შესახებ საკმაოდ არ არის შეთანხმებული საზოგადო კანონ-მდებლობასთან და საჭიროდა ხდის გადასინჯულ იქმნას ის დედა აზრნი, რომელზედაც არის დამყარებული ჩვენი დუელის შესახები კანონებიო.

**

როგორც გაზეთებიდგან ვიცით, საფრანგეთის ქალაქ მოტტა ვისკონტის მღვდელი გრასსი ლიონში იყო პრეზიდენტის კარნოს მკვლელის კაზერიოს სანახავად და ნახა კიდეც. ამ მღვდელს გაზეთს „Lega Lombarda“-ში დაუბეჭდია წერილი კაზერიოს ნახვის შესახებ. გრასს ექვსჯერ უნახავს კაზერიო. აი რას მოგვითხრობს იგი:

> ყოველივე ღონისძიება ვიხმარე, რომ მომერბილებინა როგორმე მისი დახავსებული გული, მაგრამ ჩემი სიტყვები, ჩემი დარიგება ვერ ეკარებოდა იმ რკინას, რომელიც შემოერტყა მისი გულისათვის ანარქისტთა მოძღვრებას. დასასრულ ვეღარ მოვითმინე და შევძახე: „ძალიან კარგად მოიქეცი, რომ მცველად ჩვენი ვექილი პოდრეიდერი არ ინდომე, ვინაიდგან იგი მართალს ამბობს შენს შესახებ, დამთხვეულის სულით ავადმყოფიაო!“ როდესაც კაზერიომ თავისი აღსარება წამიკითხა შიშის ძრწოლამ ამიტანა და მინდოდა, რაც უნდა დამმართვოდა, წამერთმევინა მისთვის ეს საშინელი საბუთის ქაღალდი, მაგრამ კაზერიო მიმტკიცებდა, რომ ეს არის ერთად-ერთი ჩემი საუნჯე, და იმედიცა ჰქონდა, რომ როდესაც წავიკითხავ ნაფიც მსაჯულთა წინაშე, ძალიან იმოქმედებსო. კაზერიომ სთქვა მიხარიან, რომ ხალხი დიდებულს ანარქისტს მიაწოდებსო. ვუპასუხე: „შენ საზიზღარი თავ-მოყვარეობა გალაპარაკებს გგონია, გმირი ხარ და არ გეშინიან არც სამართლისა და არც სასჯელისა, ისე, როგორც მსახიობი. სულ სხვა იქნებოდა, საჯაროდ-კი არა, საიდუმლოდ რომ დაესაჯეთ, მაშინ უეჭველია შეძრწუნდებოდი“.—„ჰო, ჰო, მართალს ამბობ, სთქვა კაზერიომ კანკალით: მინდა, რომ საჯაროდ დავისაჯო და იმედიცა მაქვს, რომ დიდხანს არ მალოდინებენ და წვალებას არ გამიხანგრძლივებენო“.

მღვდელი გრასსი იმ აზრისაა, რომ კაზერიო ჭკვათა მყოფელი ადამიანი არ არის და გონებით დიდად ჩლუნგიაო. დასასრულ გრასსი ერთს ახალს ამბავს აცნობებს მკითხველებს კარნოს შესახებ.

> განსვენებული პრეზიდენტი პერანგს ქვეშ ყოველთვის იცვამდა ხოლმე სუბუქს ჯავშანს. სადილს შემდეგ ლიონის სავაჭრო დარბაზში ტანისამოსი რომ გამოიცვალა, როცა თეატრში წასვლას აპირებდა, სთქვა, დღეს აღარ ჩავიცვამ ჯავშანს, რადგან, ჯერ ერთი, ცხელა და, მეორეც, საჭირო არ არის, „ვინ მიმტრობს ამ ასე მხიარულს გუნებისა და მოდღესასწაულე ხალხშიო“.

ეს ჯავშანი-კი რომ არ გაეხადნა, ამბობს გრასსი: კაზერიოს ხანჯალი ვერას დააკლებდაო.

## რუსეთი

—

ბ-ნს ფინანსთა მინისტრს განუცხადებია თანხმობა, რომ გადადებულ იქმნას ფული ოდესის ნოვოროსიის უნივერსიტეტთან სამკურნალო ფაკულტეტის დასაარსებლად.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმთავრებია შემუშავება იმ წესებისა, რომელთა თანახმად საგუბერნიო ერობას უფლება ექმნება მუქთად აძლიოს ბაშვორთები სოფლის მცხოვრებთ სამუშაოდ წასასვლელად, იმ შემთხვევაში, როცა მოსავალი სრულიად არ მოუვათ ან სეტყვისა, ან ცეცხლისა გამო და ან სხვა უბედურებით და ზარალდებიან. ეს წესები დასამტკიცებლად წარედგინება სახელმწიფო საბჭოს.

—

ამ ცოტას ხანში აღკრძალულ იქმნება რუსეთიდგან საზღვარ-გარეთ ძველებურ ნივთების გატანა, თუ ნება-დართული არ იქმნება საარხეოლოგიო საზოგადოებისაგან ან ამ საზოგადოების წევრ-კორესპონდენტებისაგან, რომელთაგანაც ნივთების გატანის მსურველმა უნდა აიღოს მოწმობა ნება-რთვისა. ზოგიერთ საგანგებო შემთხვევაში-კი საჭიროა ნებართვის აღება საარქეოლოგიო საზოგადოებასთან საგანგებოდ დაარსებულ კომისიისაგან. დამოჟნა ამისთანა ნივთების გატანის ნებას მხოლოდ მოწმობის წარდგენის შემდეგ მისცემს.

## უცხოეთი

—

**ჩინეთ-იაპონიის ომი.** დაბეჭდილი გაზ. «ხიპალოში“ ყურადღების ღირსი ცნობებია ჩინეთისა და იაპონიის სამხედრო სმაზადისის შესახებ.

„იაპონელებიო“, ამბობს გაზეთი, შესამჩნევად დაწინაურდნენ ჩინელებზედ. ცამეტ სამხედრო გემიდგან ჩემულპოში გადმოვიდა 5,500 ჯარის კაცი, რომელთაც სამის თვისათვის სამყოფი ნუზლ-სურსათი აქვთ მომზადებული. ამათ გარდა იაპონელებს ფუზანში ჰყავთ 1000 და გენსანში უმეტესს 2000 ჯარის კაცის. ფუზანი და გენსანი ორი ნავთ სადგურია, სადაც იაპონიას ვაჭრობა აქვს გამართული. „Journal des Débats“ კორესპონდენტი სწერს, რომ ეს ცნობა საფუძვლიანი არისო.

„იაპონელები მართლა რომ კარგად სარგებლობენ ჩინელების უმოძრაობით და კორეში ციხეებს ამაგრებენ. ძალიან გონიერად ირჯებიან, რომ ჯარებს სადავო არე-მარე აურჩიეს სადგურად და რომ საკმარისი ნუზლ-სურსათი მოუმზადეს; ეს უფრო გონივრულია, ვიდრე უაზროდ და უსარგებლოდ ტრიალი პეჩილის ზღვის ყურეში, სადაც ჩინელებს შეუკრებიათ თავის ძალ-ღონე.

გარდა ამისა იქ ზღვა ამ ჟამად მოუსვენრად ღელავს და ამისთვის ძნელია და მოუხერხებელი ორივე მხრის გემისათვის იქ ომი და შეტაკება. ჯარებს ორივე სახელმწიფო უმატებს.

ჩინელები 25 ივლისს გადავიდნენ იაპონიის საზღვარს მუკდენთან და სეულისაკენ მიისწრაფიან; იაპონელებმა-კი უმეტესი ნაწილი თავისი ჯარისა გაგზავნეს იქითკენ, სადაც შეტაკება უნდა ჰქონოდათ და სამეფოს დასავლეთს მხარეზედ სივრცით ორმოცი კილმეტრი ალაგი დაიკავეს. აქ ჩამოუდის მდინარე, რომელიც სეულს ჰრწყავს· ჩემულპო მდებარეობს სალეის ნაპირად, სეული—იმავე სახელის მქონე მდინარის პირად. ეს ორი ქალაქი შეერთებულია გზით და ამ გზას გადმოსცქერის მაღალი ქედები. ამ მაღალს ქედებზედ დაბანაკებულია ორივე სამეფოს ჯარი და უთუოდ აქ მოუხდებათ საშინელი ომი, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, თუ ვის დარჩება სამეფო სატახტო ქალაქი. იგივე კორესპონდენტი იწერება, რომ ლი-ხუნგ-ჩანგის ჯარები ცუდის ზნე-ჩვეულებისანი, არეულ-დარეულნი არიან, ჯერ ომი არ დაწყებულა და თვით ტიანძინის და იმის მიდამოს ჯარებიც-კი ხალხსა სძარცვავენ. ჩინელებს ტყვეების მოვლა და მათს შესახებ კანონის დაცვა არა სცოდნიათ; ვისაც-კი დაიჭერენ, თავსა სჭრიან, რადგანაც ძველთა-ძველის რწმუნებით თითო მტრის თავში ჯარის-კაცს განსაზღვრული ჯილდო ეძლევა. ფორმოზის კუნძულზედ სამარესა სთხრიდნენ ხოლმე ჩინელები, იღებდნენ მკვდრებს, სჭრიდნენ თავებს და მიჰქონდათ ლიუ-მინე-ხუანთან, რომელიც ეხლა კორეში ჩინელების ჯარების უფროსად არის დანიშნულიო“.

—

**საფრანგეთი.** კაზერიოს ვექილი იმ დღეს, როდესაც უკანასკნელი ვადა იყო კასსაციის შეტანისა, მივიდა თურმე დამნაშავესთან. კაზერიომ საჩივრის შეტანის შესახებ გადაწყვეტითა სთქვა უარი, თუმცა-კი, რომ დიდად გულ-მხურვალედ სთხოვდა ვექილი.

„ნუ მაწამებთ, უთხრა მან დიუბრეილს: მე ჩემი სიცოცხლე ამ საქმეს ვუმსხვერპლე. ვიცოდი, რომ სიკვდილს გარდამიწყვეტავდნენ სასჯელად და ვერავითარი ნიჭიერი ვექილი ვერ მიშველიდა. აი, ეს არის მიზეზი, რომ მე არც საკასსაციო საჩივრის გადატანა მინდა და არც შენდობის თხოვნა. ეშაფოტრზედ სრულიად მხნედ ავალ, მე იმისი არ მეშინიან. განსამართლების დროს ერთ წუთს სისუსტე გამოვიჩინე, მაგრამ ამ წუთს მხნე სიკვდილით გამოვისყიდიო“. შემდეგ კაზერიომ სთხოვა ვექილს მადლობა გარდაეცით თარჯიმანს, რომელიც ჩემს განსამართლებას დაესწროო. არავითარი ცვლილება წინანდელთან შედარებით არა ეტყობა-რა, არავის და არაფრის საყვედურს არ აცხადებს და უმეტესს დღის ნაწილს მოგზაურობის შინაარსის წიგნებსა ჰკითხულობს.

სეტტას სამართალში მიუციათ ის პოლიციის უფროსი კომისარი, რომელმაც მთავრობას არ შეატყობინა კაზერიოს ამ ქალაქში ყოფნა.

—მოტტა ვისკონტიდან, რომელიც კაზერიოს სამშობლოა, დეპეშა მოუვიდა მთავრობას, რომ რავენის ანარქისტთა კომიტეტისგან მოვიდა წერილი, რომლითაც მთელის ქვეყნის ანარქისტები სალამს უძღვნიან კაზერიოს სახლობას დაატყობინებენ, რომ იმის მაგიერ ვიძიებთო, წილის ყრით სამს ანარქისტს ერგო მოკვლა კაზიმირ პერიესი, კრისპისა და ვიღაც იტალიელ პოლიციის მოხელისა. შემდეგ სწერია, რომ „ანარქისტთა საზოგადოებას ერთი მილიონი წევრი ჰყავს და ისინი თავს არ დაიზოგავ-

---

დიდი გენაგერჩაკის მცენარე და სთქვეს: «მარტო ამით შეიძლება ჩვენში გამდიდრება და აქურები-კი, როგორც ეტყობათ, ძალიან ღარიბები ყოფილანო“. დიაღ, ყოველი სიმდიდრე და საუნჯე ხელთა აქვთ, მაგრამ მეურნეობის ცოდნას მოკლებულნი არ იციან, როგორ უფრო კარგად ისარგებლონ თვალწინ მდებარე საუნჯით. აქ ადვილია ორის მოსავლის მოყვანა, ზოგი მიწის სივიწროვისა გამო კიდეც მისდევს ორის მოსავლის მოყვანას, სთესს პირველად პურს, მერე სიმინდს ანუ ღომს. ჯერ-ჯერობით ორივე მოსავალი უხვად მოდის, მაგრამ, რადგანაც აქეთ მიწის გაპატივება სრულიად არ იციან და ხშირად თესვით მიწა თანდათან ჰკარგავს თავისს სინოყივრეს, ამიტომ ადვილად შეიძლება, რომ აქაური მიწაც მოიქანცოს და აქაურებსაც ის დღე დაადგეს, რაც რუსებსა სჭირთ.

ამ უკანასკნელ ხანს ორპირში დაესახლნენ ესრედ წოდებულნი ტოლსტოის მიმდევრები. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ რუსების შესანიშნავ მწერალმა ლ. ნ. ტოლსტოიმ ამ ათის წლის წინად უარ-ჰყო თავისი სიტყვა-კაზმული თხზულებანი და დაიწყო სხვა-და-სხვა აზრის და იდეის ქადაგება; რუსეთში ზოგმა სისულელედ მიიჩნია მისი უკანასკნელი საქციელი. ტოლსტოი ეხლაც ჰბეჭდავს თავისს ნაწარმოებს ფარულად; მისი ნაწარმოები იბეჭდება და სიამოვნებითაც კითხულობენ ევროპასა და ამერიკაში, მხოლოდ რუსეთში მე-XIII-ე ტომის შემდეგ იმის თხზულებათა ბეჭდვა შეწყვეტილია, მაგრამ ტოლსტოიმ, როგორც ნიჭიერმა მწერალმა, რუსეთშიაც მოიპოვა თაყვანისმცემლები, ზოგი მათგანი გადმოსახლებულან ორპირში აგერ რამდენიმე წელიწადია; წინად აქ თორმეტ სულამდის ყოფილან ბავშვებიან-ცოლებიანად, ამათში ორი კაცი, როგორც ამბობენ, უმაღლესად განათლებულნი უნდა იყვნენ; დანარჩენი უბრალო ხალხია, იმათი გარეგანი ცხოვრება და ჩაცმა დახურვა სულ უბრალოა, დადიან უფრო ხშირად ფეხშიშველნი, დროს ატარებენ მუდმივ მუშაობაში, კვირა-უქმის განურჩევლად; სისუფთავის დაცვა სრულიად არ უყვართ; სჭამენ მცენარეულობას, ყველსა და კვერცხს, როგორც ყველა ვეგეტარიანი (მცენარის მჭამელი), სვამენ ზოგი ჩაის, ზოგი თბილ-წყალს და ზოგს ჩუმად გადაკვრაც უყვარს. ეტლითა და მატარებლით სიარული ცოდვად მიაჩნიათ, ეხლანდელ განათლებას ურწმუნო თვალით უყურებენ, მავნებლად სთვლიან. იმათის აზრით, ყველა კაცი უნდა სცხოვრობდეს თავისუფლად, ისე, როგორც თავისი სინდისი ამხილებს და სახარება ეუბნება, მაგრამ სახარებაშიაც ბევრს საეჭვოს ჰხედავენ; იმათ მოსწონთ მხოლოდ იოანნე მახარობელი, რადგანაც იოანნე იყო იესო ქრისტეს საყვარელი მოწაფე, ამიტომ იესო ქრისტეს ქადაგებისა და სწავლების შესახებ მარტო იოანნეს შეეძლო გადმოეცა მართალი ცნობებიო. ბევრს ქრისტიანულ ეკკლესიურს ჩვეულებას და წესს უარს ჰყოფენ; ხატებისა არაფერი სწამთ; ჩხუბი და ომი დიდად მავნებლად მიაჩნიათ.

საუცხოო და საკვირველი უფრო ის არის, რომ ისინი ერთმანეთშიაც სხვა-და-სხვა შეხედულობისა და აზრისანი არიან; ამას წინად ორნი მათგანი შეიბნენ ლაპარაკში, და იმდენი ილაპარაკეს, რომ ერთი მათგანი ავად გახდა; როდესაც ვკითხეთ ავადმყოფობის მიზეზი—გვიპასუხეს, ამან ასე იცისო, ჩაწვება ერთს ბნელს ოთახში და სამს დღეს არ ადგებაო. უველაზედ, ვისაც უნახავს ესენი, ახირებულად უმოქმედნია. ცოლშვილს არ უნდა მამასთან და ქმართან დგომა, ქმარი უცოლშვილოდ ვერა სძლებს და, როგორც ამბობენ, აპირებენ აქაურობის გაყიდვას და სხვაგან გადასახლებასაო. როცა ტოლსტოის მიმდევრები გავიცანი, მეც ეჭვში შევედი ზოგიერთის მათის აზრის მტკიცე საფუძვლის შესახებ და, ვიფიქრე—უფრო დიდს სარგებლობას გაუწევდა რუსეთს ნიჭიერი მწერალი ტოლსტოი, თავისი ძლევა-მოსილი კალამი რომ მოეხმარებინა სხვა-და-სხვა მწვალებლობის გამოკვლევისათვის, რომლითაც რუსეთი სავსეა და რომელიც დღიურს ვარამს შეადგენს რუსეთისას; პირ-იქით, ამ ნაირის საქციელით შეიძლება უფრო ხელის შეუწყო და გაავრცელოს ათას გვარი მწვალებლობა-მეთქი.

Ignotus

---

სთანებს, რომელთაც არ შეუძლიანთ გამოიყენონ სასარგებლოდ“, ისტ. ბოროზდინისა, გვ. 290.

რინებენ არავისაო*.

—

**შეერთებული შტატები.** ამ ცოტას ხანში შეერთებულს შტატებში შეტანილ იქმნა ანარხისტთა წინააღმდეგ კანონ-პროექტი. სენატმა შეიწყნარა ეს კანონ-პროექტი, რომელშიაც ნათქვამია: არც ერთს ანარქისტს ნება არა აქვს ჩრდილო-ამერიკის შტატების რომელსამე ნავთ-სადგურში გადმოვიდეს; ხოლო საპოლიტიკო ემიგრანტები, რომელნიც არ ეკუთვნიან ანარქისტთა დასს, არ ექვემდებარებიან ამ კანონის ძალას. ემიგრაციის ასაკრძალავად წინადვე გამოძიება უნდა მოხდეს. თუ ამისთანა განდევნილი ანარქისტი ხელ-მეორედ დაბრუნდება, ოთხის წლით იქმნება დაპატიმრებული. ნავთ-სადგურებში მომსვლელთ თვალ-ყურს ადევნებენ საკუთრად ამ საქმისთვის დანიშნული ინსპექტორები. ამ გვარად შედგენილი კანონ-პროექტი შეტანილია პარლამენტის წარმომადგენელთა განსახილველად.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„ივერიის“ მე-154 №-ში ბ-ნი იოსებ კაპანაძე სთხოვდა რედაქციას, გამოეცხადებინათ, რომ მე—კაპანაძეს—არ მეკუთვნის სოფ. კაქირიდგან გამოგზავნილი კორესპონდენცია, მოთავსებული „ივერიის“ მე-144-ე №-შიო. მიზეზი ამ განცხადებისა გვესმის,—ალბად ეჭვი შექქონდათ, რომ იგი იყო დამწერი უწყებულის კორესპონდენციისა. მაგრამ მარტო ამას როდი სჯერდება ბ-ნი კაპანაძე! ხუთ სტრიქონიან წერილს, სწორედ შუაში ურთავს, ვითომც კორესპონდენცია, სრულიად თუ არა, მომეტებულ ნაწილად მაინც სიმართლეს მოკლებული იყოს. აბა თვალების ახვევა და ყურებში ბამბის დაჩურთვა, თუ გაგიგონიათ, ეს არის! ვსთხოვთ ბ-ნ კაპანაძეს, დაასაბუთოს, რით არის სიმართლეს მოკლებული კორესპონდენცია? ჩვენი კორესპონდენცია შეიძლება ხუთ მუხლად დავყოთ: 1) ნათლისმცემლობის დღეს მშვენივრად, მწყობრად იგალობეს სემინარიელებმაო, რითაც დაატკბეს მსმენელ-მლოცველნი; 2) იმ დღეს წირვაზედ არ წარმოთქმულაო სიტყვა-ქადაგება: 3) დღეობის ღამეს ორი ცხენი მოიპარესო; 4) მესამე დღეს, 27-ს ივნისს, კაქირის ბოლოზედ ორი კომლის სარჩო-საბადებელი სულ გადიბუგაო და 5) ისა, რომ დაზარალებულებს შემწეობა-დახმარება სჭირიათ სოფლისაგან და, როგორც უველა სოფლის საქმეში, აქაც მამასახლისის მოთაობაა საჭიროო. დაგვისახელოს ბ-ნმა კაპანაძემ, რომელი მუხლია სიმართლეს მოკლებული და, როგორც იგი ამბობს, მომეტებულ ნაწილად სიმართლეს მოკლებულიაო, ხუთში სამი მუხლი მაინც, თუ ოთხი არა, უნდა გვიჩვენოს სიმართლეს მოკლებული. მტყუანს ტყუილის კარამდის უნდა მიჰყვეს კაციო და ჩვენც მივყვებით სიმართლის დასაცველად.

ჩეჩენი

# განცხადებანი

რადგან 21 ივლისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, მსროლელთა მეორე დრუჟინა ხელ-ახლად მოიწვევს იმათ, რომელთაც სურთ და უფლებაც აქვთ ხიდონ იჯარით დრუჟინისათვის მოტანა ხორცისა, კარტოფილისა, ხახვისა, მარილის და სხვ. საჭირო სანოვაგოისა, რაც-კი საჭიროა ჯარის გამოსაკვებად, აგრეთვე ნავთისა 1894 წლის 1 ოქტომბრიდგან 1895 წლის 1 ოქტომბრამდე ქ. გორში, განცხადება კონვერტში დაბეჭდილი უნდა გამოიგზავნოს ქ. გორს, დრუჟინაში 9 სექტემბრამდე.

ვაჭრობა განუმეორებლად იქმნება ამ წლის 10 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, ქ. გორში, დრუჟინის კანცელარიაში, სამეფო ქუჩაზედ, ალექსანდრე ლამბარაშვილის სახლში.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ამავე კანცელარიაში.

(3—1)

---

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ-იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,**—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ბურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი,** 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

---

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—32 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვ.) მესამე განყოფილებაში—1 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეშიაც—3 (10 და 11 წლ. ყმაწვ.) პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.

2) 38 ვაკანსიისგან 33 არის დანიშნული გარედან მოსიარულებისათვის და ხუთი (5) პანსიონში ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ხუთს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს და ორი (2) ნახევარს ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისთანავე და ნახევარი იანვარში.

გარედგან მოსიარულეს გარდახდაბა წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა ან გარედ მოსიარულეთ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის-ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულიად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანოს პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდგან.

8) შესაძლებელია მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსავლისათანავე და ათ იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 25 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.

10) მარიამობისთვის 26 და 27 რიცხვებს მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალის $18^{94}/_{95}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

(3—მ—3)

---



ვერცხლისა



ტფილ. გამოფენა.




## ქრხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

**ტფილისში, იარმუკაზედ.**

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ხორძოსფრათ, მასყილას ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-მედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დავით ფერად აკჩალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

მინც დროიანად შემომიკვეთს, ყოველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—6

ალალო თუთაევი

---

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უგანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ [illegible] და საღამოობით 6-დგან $7^1/$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.